



**ემოტივები ქართულ და ფრანგულ პოლიტიკურ
დისკურსში**

(ქართულ და ფრანგულ ენათა მასალაზე)

მეგი გაფრინდაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების

ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური

ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო

მოლაპარაკებები/ეკონომიკა(ევროპული-რუსული-

აღმოსავლური)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ემა

ქსოვრელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მეგი გაფრინდაშვილი

მ.გ, 09/07/2020

აბსტრაქტი

თანამედროვე საზოგადოება, მითუმეტეს ამ ბოლო პერიოდში, ძნელი წარმოსადგენია პოლიტიკის გარეშე. თუ დავაკვირდებით, სურვილის მიუხედავად, მაინც გვიწევს თვალი ვადევნოთ პოლიტიკას, პოლიტიკოსებს, მათ სიტყვით გამოსვლებს, გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხშირად იცვლება და ახლდება. ვუყურებთ პოლიტიკოსთა გამოსვლებს ტელევიზიით, ვუსმენთ რადიოში, ვკითხულობთ სოციალურ ქსელში, ბოლოს კი ვმონაწილეობთ არჩევნებში. ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პოლიტიკოსთა დისკურსი, მათი სიტყვით გამოსვლები, მათი ემოციური მიმართვები, საინტერესოა ის ლექსიკური ემოტივები რომლებსაც ისინი იყენებენ თავიანთი ემოციების გადმოსაცემად, ემოციები კი მათთვის წარმოადგენს საშუალებას გავლენა მოახდინონ ჩვენზე, როგორც ამომრჩეველზე და მიიღონ სასურველი შედეგი. ენას პოლიტიკოსთა დისკურსში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ საინტერესოა როგორ გამოხატავენ პოლიტიკოსები ემოციებს ენის დახმარებით.

აქედან გამომდინარე, აღნიშნული ნაშრომის საკვლევ თემას წარმოადგენს ემოტივები ფრანგულ და ქართულ პოლიტიკურ დისკურსში, ფრანგი და ქართველი პოლიტიკოსების დისკურსების მაგალითზე. ნაშრომის მიზანია გამოვიკვლიოთ, გამოვკვეთოთ და გავანალიზოთ რა ემოციებს გამოხატავენ და როგორ გადმოსცემენ მათ პოლიტიკოსები თავიანთ დისკურსში, რომელ ლექსიკურ ემოტივებს იყენებ ისინი რომ, გამოხატონ თავიანთი ემოცია და გადმოსცენ საკუთარი აზრები.

ამავდროულად, კვლევის საგანს წამოადგენს ის რიტორიკული ხერხები, რომლებსაც ხშირად იყენებენ პოლიტიკოსები თავიანთ მიმართვებში.

თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ ბოლო დროს გაიზარდა ინტერესი პოლიტიკური დისკურსისადმი, შესაბამისად გაიზარდა ლინგვისტიკის/ლინგვისტთა ინტერესი პოლიტიკოსების დისკურსის მიმართ. ამასთანავე, ამ კუთხით, პოლიტიკოსთა დისკურსი ნაკლებად არის განხილული.

საკვლევ მასალად გამოვიყენე ფრანგი და ქართველი პოლიტიკოსების დისკურსი, მათი გამოსვლები სხვადასხვა დროს:

ქართველი პრეზიდენტები:

- 1) ზვიად გამსახურდია
- 2) მიხეილ სააკაშვილი
- 3) სალომე ზურაბიშვილი

ფრანგი პრეზიდენტები და პოლიტიკოსი:

- 1) ნიკოლა სარკოზი
- 2) ემანუელ მაკრონი
- 3) მარი ლე პენი

კვლევის მეთოდები გამომდინარეობს საკითხის სპეციფიკიდან, ნაშრომში გამოკვეთილია და გაანალიზებულია ლექსიკური ემოტივები, რომლებსაც იყენებენ ქართველი და ფრანგი პოლიტიკოსები თავიანთ დისკურსში.

კვლევის შედეგებს, ვფიქრობ, რომ ექნება პრაქტიკული მნიშვნელობა. აღნიშნული ნაშრომი, შეეძლება გამოიყენოს საკუთარ ნაშრომში, იმ ადამიანმა ვინც გადაწყვეტს, რომ ეს თემა უფრო ღრმად შეისწავლოს. კვლევის შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნას უმაღლეს სასწავლებლებში სხვადასხვა სალექციო კურსებზე, განსაკუთრებით კი იმ კურსებზე რომელიც, უკავშირდება პოლიტიკის მეცნიერებებს, ლინგვისტიკას და ენათმეცნიერებებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ემოცია, ლექსიკური ემოტივები, პოლიტიკური დისკურსი, ენობრივი საშუალებები, ემოციური გამოხატულება, ემოციური გავლენა.

Abstract

Modern society, especially in recent times, is hard to imagine without politics. If we observe, despite the desire, we still have to keep an eye on politics, politicians, their speeches, decisions that are often changed and updated. We watch politicians' speeches on TV, listen to the radio, read on social media, and finally participate in elections. The discourse of politicians attracts our special attention, with their speeches, their emotional appeals, it is interesting to see the lexical emotive they use to convey their emotions, and the emotions that allow them to influence us as voters and get the desired result. Language is crucial in the discourse of politicians, so it is interesting to see how politicians express emotions with the help of language.

Therefore, the research topic of this paper is the emotives in the French and Georgian political discourse, on the example of the discourses of French and Georgian politicians. The aim of the paper is to explore, highlight, and analyze what emotions politicians express and how they convey them in their discourse, which lexical emotives they use to express their emotions, and to express their thoughts. At the same time, the subject of research is the rhetorical methods that politicians often use in their appeals.

The topicality of the subject is conditioned to the fact that recently the interest in political discourse has increased, therefore the interest of linguists / linguists in the discourse of politicians has increased. At the same time, in this regard, the discourse of politicians is less discussed.

I used the discourse of French and Georgian politicians as their research material, their speeches at different times:

Georgian Presidents:

- 1) Zviad Gamsakhurdia
- 2) Mikheil Saakashvili
- 3) Salome Zurbishvili

French Presidents and Politicians:

- 1) Nicolas Sarkozy
- 2) Emmanuel Macron
- 3) Marie Le Pen

The research methods are based on the specifics of the issue, the paper outlines and analyzes the lexical emotives used by Georgian and French politicians in their discourse.

The results of the study, i think, will have practical significance. This paper can be used in one's own work by people who decide to study this topic in more depth. The results of the research may be used in various lecture courses in higher education institutions, especially in those courses which are related to political science, linguistics, etc.

Key words: emotion, lexical emotive , political discourse, linguistic means, emotional expression, emotional influence

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ ემა ქსოვრელს დახმარებისა და ყურადღებისათვის.

დიდ მადლობას ვუხდის ჩემი ოჯახის წევრს, განსაკუთრებით კი ჩემს პატარა გოგონას მარიამს, მათი თანადგომის გარეშე ვერ შევძლებდი ნაშრომის დასრულებას.